



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 251/ს
10/08/2022

251-21-4-202208101718



ქ. ქუთაისში, შპს „საქართველოსჰონგჩუანის“ მეთილმეტაკრილატის (MMA) პირველადი ნედლეულის დისტილაციისა და პოლიმეთილმეტაკრილატის (PMMA) ფირების საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „საქართველოსჰონგჩუანის“ (ს/ნ 412740805) მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ქუთაისში მეთილმეტაკრილატის (MMA) პირველადი ნედლეულის დისტილაციისა და პოლიმეთილმეტაკრილატის (PMMA) ფირების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

ზემოაღნიშნული საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე 2021 წლის 22 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-487 ბრძანებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ქ. ქუთაისში, შპს „საქართველოსჰონგჩუანის“ მეთილმეტაკრილატის (MMA) პირველადი ნედლეულის დისტილაციისა და პოლიმეთილმეტაკრილატის (PMMA) ფირების საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2021 წლის 30 აგვისტოს შპს „საქართველოსჰონგჩუანის“ მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, სამინისტროში წარმოდგენილი იყო ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიში, რაზეც, სამინისტროს მიერ, სკოპინგის პროცედურის შედეგად, განსაზღვრულ იქნა გზმ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და ამ ინფორმაციის გზმ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებები (სკოპინგის დასკვნა №51 (18.10.2021)). წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „კოდექსერვისის“ მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის N88-ში, ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული

ზონის (ყოფილი ავტოქარხნის) ტერიტორიაზე (ს/კ 03.01.21.358), სადაც კომპანიის მიერ ასევე ხორციელდება პოლიმეთილმეტაკრილატის ნარჩენების აღდგენის საწარმოს ექსპლუატაცია, რაზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 დეკემბრის N2-1235 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „საქართველოსჰონგჩუანმა“ „ჰუალინგ ჯგუფის“ მიერ ინვესტიციების მოზიდვის ფარგლებში მიიღო შეთავაზება განხორციელებინა დამატებითი ინვესტიცია და წარმოების მეორე და მესამე საფეხურიც (დისტილაცია და ფირების წარმოება) განეთავსებინა საქართველოში. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ნარჩენების აღდგენის საწარმოში მიღებული ნედლეულის შემდგომი გადამუშავება (დისტილაციის მეთოდით, 96%-იანი სისუფთავის მეთილის მეტაკრილატის მიღება და მიღებული პროდუქციის ნაწილისგან პოლიმეთილმეტაკრილატის ფირების წარმოება, ხოლო პროდუქციის (მიღებული მეთილის მეტაკრილატის) ნაწილის ექსპორტი.

საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X – 303451, Y – 4681894; X – 303454, Y – 4681854; X – 303376, Y – 4681847; X – 303373, Y – 4681888; X – 303412, Y – 4681891; X – 303416, Y – 4681892; X – 303410, Y – 4681969; X – 303499, Y – 4681977; X – 303494, Y – 4682032; X – 303360, Y – 4682021; X – 303361, Y – 4682010; X – 303368, Y – 4682011; X – 303368, Y – 4681984; X – 303369, Y – 4681976; X – 303405, Y – 4681978. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 550 მ-ით, ხოლო უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტამდე - მდ. ოლასკურამდე, მანძილი დაახლოებით 630 მ-ს შეადგენს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტით გათვალისწინებული მეთილმეტაკრილატის დისტილაციის საწარმოს განთავსება იგეგმება ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის დასავლეთ მხარეს არსებულ შენობაში (N13), ხოლო პოლიმეთილმეტაკრილატის ფირების საწარმო მოეწყობა ტერიტორიის ჩრდილოეთით, ყოფილი ქვის დამამუშავებელი საწარმოს შენობაში (N19). აღნიშნული შენობები ამჟამად უფუნქციოა და საჭიროებს რეაბილიტაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დისტილაციის საწარმოსთვის განკუთვნილი შენობის დასავლეთით განთავსებულია შპს „ჯორჯიან ინტერნეიშენალ ჰოლდინგის“ ტერიტორია, რომელიც „ჰუალინგის“ ტერიტორიიდან გამოყოფილია 2,5 მ სიმაღლის ბეტონის ღობით, ხოლო აღმოსავლეთით - შპს „საქართველოსჰონგჩუანის“ ნარჩენების აღდგენის საწარმო. ფირების წარმოებისათვის განკუთვნილი ნაგებობის სამხრეთით განთავსებულია კრიპტოვალუტის საამქროები, სასაწყობე შენობები და შპს „ეკომაქს ქვისა და ხის დამუშავების კომპანიის“ დაწნეხილი ფანერების საამქრო, რომელიც ამჟამად უფუნქციოა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო საწარმოს მაქსიმალური წარმადობა წლიურად 19400 ტონას შეადგენს. საწარმოში განხორციელდება მეთილის მეტაკრილატის დისტილაცია, რის შედეგადაც მიიღება 18624 ტ. 96%-იანი სისუფთავის მეთილის მეტაკრილატი და 776 ტ საღუმელე საწვავი. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია მიღებული პროდუქციის ნაწილის გადამუშავება და წელიწადში მაქსიმუმ 5000 ტ პოლიმეთილმეტაკრილატის ფირების წარმოება. დანარჩენი პროდუქცია (წარმოების 70-75%) გატანილი იქნება ექსპორტზე. საპროექტო საწარმოს

სამუშაო რეჟიმი იქნება წელიწადში 250 დღე, 24 საათი. ობიექტზე დასაქმებული იქნება 50 ადამიანი, რომელთაგან 20 (მართვის პანელების ოპერატორები) იმუშავებს 24-საათიანი, ხოლო დანარჩენი - 8-საათიანი რეჟიმით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტის საწყის ეტაპზე განხორციელდება საწარმოო ხაზებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების აღდგენა/რემონტი, მოეწყობა შიდა ინფრასტრუქტურა, შენობებს შორის დამაკავშირებელი გზები და მილგაყვანილობა. აგრეთვე, მოეწყობა მიღებული პროდუქციის საცავი. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს განხორციელებს მოწვეული კომპანია. სამუშაოების პარალელურად განხორციელდება ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟი. აღნიშნული პროცესების მეთვალყურეობა და საწარმოს პერსონალის გადამზადება განხორციელდება უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ. დოკუმენტის თანახმად, სარემონტო სამუშაოებისა და მოწყობილობების მონტაჟისთვის განსაზღვრული ვადა 6 თვეს შეადგენს.

საპროექტო დისტილაციის საწარმო განთავსებული იქნება შენობაში, რომლის ნაწილი ერთიან სივრცეს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი სამ სართულადაა დაყოფილი. ერთიან სივრცეში განთავსდება ვაკუუმტუმბო, დისტილაციის დანადგარები (4 ერთეული) და პროდუქციის სამარაგო რეზერვუარები, დაყოფილ ნაწილში - პირველ სართულზე მოეწყობა საქვაბე მეურნეობა, ხოლო მეორე და მესამე სართულებზე - მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ოთახები. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტით გათვალისწინებული ტექნოლოგიური მოწყობილობების საპროექტო პარამეტრები და ტექნიკური მახასიათებლები. დოკუმენტის თანახმად, დისტილაციის დანადგარი წარმოადგენს ჰერმეტიულად დახურული ნედლეულის ავზის, გამაგრილებელი კოშკისა და პროდუქციის შემგროვებელი ავზისაგან შემდგარ მარტივ მოწყობილობას.

პოლიმეთილმეტაკრილატის ფირების საწარმოსთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე (3597,87 მ² ფართობზე) იფუნქციონირებს ნედლეულის მომზადებისა და ჩასხმის, ფორმებიდან ამოღების, პროდუქციის შრობის, პროდუქციის გაგრილების, პროდუქციის სასაწყობე უბნები და წყლის ავზი (990 მ²).

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ნედლეულს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარე, შპს „საქართველოსჰონგჩუანის“ კუთვნილ პოლიმეთილმეტაკრილატის ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოში წარმოებული პროდუქცია, რომელიც საპროექტო ტექნოლოგიურ დანადგარებზე მიწოდებული იქნება არსებული ნარჩენების აღდგენის საწარმოს პროდუქციის საცავიდან, ვაკუუმტუმბოების საშუალებით. დოკუმენტის თანახმად, ნედლეული ჩაისხმება დისტილატორის ავზებში, რომლებშიც გაცხელდება 60-დან 80°C-მდე. გახურების შემდეგ მეთილის მეტაკრილატი იწყებს აორთქლებას, გაივლის დისტილაციის სვეტს, რომელშიც გაგრილდება და კონდენსირდება ორ ფრაქციად. კონდენსატორში გაცივების შედეგად მიღებული დისტილირებული მეთილის მეტაკრილატი ჩაისხმება დისტილაციის უბანზე მოსაწყობ ავზებში, საიდანაც ვაკუუმტუმბოების საშუალებით გადაიტანება პროდუქციის საცავში ან ფირების წარმოების უბანზე. საპროექტო ხაზზე ნედლეულის გაცხელება მოხდება გადახურებული ორთქლით. დისტილაციისათვის საჭირო სითბოს მიღება განხორციელდება საქვაბეში, სადაც საწვავის სახით გამოყენებული იქნება დიზელი ან/და

დისტილაციის პროცესის შედეგად მიღებული საღუმელე საწვავი, დისტილატორის დაბალ საფეხურზე კონდენსირებული მაღალმოლეკულური ნახშირწყალბადები ($C_{10} - C_{19}$) ჩაისხმება საღუმელე საწვავის შემკრებ ავზში, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში გადაიტუმბება ჰერმეტიკულსახურავიან ავზებში და დასაწყობდება პროდუქციის საცავში, ხოლო შემდგომ ვაკუუმტუმბოების საშუალებით მიეწოდება საქვების ავზებს.

საპროექტო საწარმოსათვის პროდუქციის საცავის მოწყობა დაგეგმილია დისტილაციის საწარმოს ტერიტორიის აღმოსავლეთით. დოკუმენტის თანახმად, პროდუქციის საცავი მოწყობილი იქნება გადახურულ, მობეტონებულ ზედაპირზე, ბეტონის ბალიშებზე და შემოსაზღვრება ბეტონის კედლით. საცავის გვერდით განთავსდება გადასატვირთი ბაქანი, საიდანაც, ვაკუუმტუმბოების გამოყენებით განხორციელდება პროდუქციის საერთაშორისო გადაზიდვებისათვის გამიზნულ კონტეინერებში გადატუმბვა და ავტომობილით ტერიტორიიდან გატანა.

როგორც აღინიშნა, დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო დისტილაციის ხაზზე მიღებული პროდუქციის ნაწილისგან დამზადდება მეთილმეტაკრილატის ფირები. პოლიმერიზაცია განხორციელდება მაინიცირებელი აგენტის - ტერტ-ბუტილ პეროქსი-2-ეთილჰექსანოატის დამატებით, რომლის შესყიდვა დაგეგმილია მწარმოებლების/რეალიზატორებისაგან. წარმოების პროცესში თავდაპირველად ნედლეული ტუმბოს საშუალებით ჩაისხმება მოსამზადებელ რეზერვუარებში (2 ერთეული, თითოეული 2 ტ მოცულობის), სადაც აირის ბუშტუკების გამოდევნის მიზნით, 1 წუთის განმავლობაში გაცხელდება; შემდეგ დაემატება მაინიცირებელი აგენტი, მოირევა მექანიკური შემრევით და 5-10 წუთით დაყოვნდება. შემდგომ ეტაპზე ნედლეული ტუმბოს საშუალებით გადაიტანება შესავსებ რეზერვუარებში (8 ერთეული, 1 მ³ მოცულობის) ბუნებრივად გაგრილდება და თვითდინებით ჩაისხმება სტელაჟებზე განთავსებულ ყალიბებში, სადაც დაყოვნდება 16 საათამდე. შემდეგ, სტაბილიზაციის მიზნით, პროდუქცია, ყალიბებთან ერთად, მოთავსდება წყლიან ავზში, სადაც დაყოვნდება 8 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც ფირები განთავსდება გათბობითა და ვენტილაციით აღჭურვილ საშრობ ოთახში. გამშრალი ფირები გატანილი იქნება გაგრილების განყოფილებაში, გაგრილდება, შეიფუთება და დასაწყობდება მზა პროდუქციის საცავში.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია საწარმოს განთავსების, ტექნოლოგიური და არაქმედების ალტერნატივები და აღნიშნულია, რომ დისტილაციისა და ფირების წარმოების ხაზების მოსაწყობად განიხილებოდა თბილისისა და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, რომელთა შორის არჩევანის ქუთაისის ინდუსტრიულ ზონაზე შეჩერება განაპირობა მოსახერხებელმა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურამ, ასევე იმ გარემოებამ, რომ ტერიტორიაზე უკვე ფუნქციონირებს მეთილმეტაკრილატის ნარჩენების აღდგენის საწარმო, რაც საპროექტო ხაზების ნედლეულის ტრანსპორტირების გარეშე მომარაგების საშუალებას იძლევა. ამასთან, საპროექტო საწარმოო ხაზების განთავსება შესაძლებელია უკვე არსებულ შენობებში, შესაბამისად, მოწყობის სამუშაოები დამატებითი ტერიტორიის ათვისებასა და გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. რეაბილიტაციის ეტაპზე მცირე სამშენებლო ტექნიკისა და ამწეების მუშაობით გამოწვეული ზემოქმედება იქნება დროებითი, დაბალი და შეწყდება სამუშაოების დამთავრებისთანავე.

დოკუმენტში აგრეთვე განხილულია ტექნოლოგიური ალტერნატივები და აღნიშნულია, რომ ვინაიდან მეთილმეტაკრილატის ნედლეული შეიცავს 10%-მდე სხვადასხვა მინარევებს, რომელთა დუდილის ტემპერატურა ახლოსაა ძირითადი კომპონენტის ტემპერატურასთან, საპროექტო საწარმოში ნედლეულის დისტილაციისთვის შეირჩა ფრაქციული დისტილაციის მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება მრავალკომპონენტიანი თხევადი ნარევების დაყოფა ერთმანეთისგან განსხვავებული შემადგენლობის ნაწილებად - ფრაქციებად.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება დაგეგმილია საწარმოო და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო მიზნით წყალაღება განხორციელდება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვისცენტრიდან, ხოლო ტექნიკური წყლის აღება გათვალისწინებულია მიწისქვეშა ჰორიზონტიდან, N10002235 ლიცენზიის საფუძველზე. ტექნიკური წყალი გამოიყენება საპროექტო საწარმოს ორივე ტექნოლოგიურ ხაზზე და საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 2556 მ³-ს წელიწადში. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება განხორციელდება ქ. ქუთაისის საკანალიზაციო სისტემაში, ხოლო საწარმოო პროცესში ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. საწარმოს ყველა ობიექტი და ტექნოლოგიური დანადგარი, მათ შორის ნედლეულისა და პროდუქციის საცავები, განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, შესაბამისად, სანიაღვრე წყლების შეკრებისა და გაწმენდის ორგანიზება საჭირო არ იქნება.

საწარმოს მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერში და გატანილი იქნება ქუთაისის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, კონტრაქტის საფუძველზე, ხოლო სამშენებლო ნარჩენებისა და გრუნტის (დაახლ. 2 მ³-მდე) განთავსება მოხდება მყარი ნარჩენების პოლიგონზე. დოკუმენტის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, მანქანა-მოწყობილობების შეკეთების დროს წარმოქმნილი სხვადასხვა სათადარიგო ნაწილების, რკინის ჯართის, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალების, დამხმარე ნედლეულის შესაფუთი მასალების, ძრავის ნახმარი ზეთების სახით. სახიფათო ნარჩენები განთავსდება სპეციალურ კონტეინერებში და გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორების მიერ. ძირითადი ტექნოლოგიური პროცესის დროს ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ვინაიდან დისტილაციის პროცესის შედეგად მიღებული ორივე პროდუქტი წარმოადგენს პროდუქციას.

გზშ-ის ანგარიშში შეფასებულია პროექტის განხორციელების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების საკითხები. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელია მეთილმეტაკრილატის, ნაშირბადის ოქსიდის, ნაჯერი ნახშირწყალბადების, აზოტის დიოქსიდის, ჰვარტლისა და გოგირდის დიოქსიდის წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. გზშ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია საქმიანობის განხორციელების

შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის საფუძველზე. ანგარიშის თანახმად, რომელშიც ფონად გათვალისწინებულია გაფრქვევის მაჩვენებლები მიმდებარე პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტიდან, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში არცერთი მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს, როგორც საწარმოდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, ისე უახლოეს მოსახლესთან (550 მ). გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში განხორციელდება უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგი შემდეგ მავნე ნივთიერებებზე: აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი.

დოკუმენტის თანახმად, პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული იქნა კუმულაციური ზემოქმედების საკითხი საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით არსებულ ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოსთან.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო შენობის რეაბილიტაციისა და ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟის პროცესში წარმოქმნილი ხმაური უახლოეს დასახლებულ პუნქტთან არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ვინაიდან სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოები იწარმოებს კაპიტალურ შენობაში, ხოლო დასახლებული პუნქტის მიმართულებით განთავსებულია ხელოვნური ბარიერები, უახლოეს მოსახლესთან ხმაური პრაქტიკულად ვერ მიაღწევს. საწარმოს ფუნქციონირებისას ხმაურის წყაროს წარმოადგენს ვაკუუმტუმბოები, რომელთა ხმაურის მაქსიმალური დონე 80 დბა-ს შეადგენს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ხმაურის დასაშვები დონის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

როგორც აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფუნქციონირებს ნარჩენების აღდგენის საწარმო, შესაბამისად, მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებისა და ხმაურის გავრცელების, ასევე ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისა და წყლის გარემოზე ზემოქმედების კუთხით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ საპროექტო და არსებული საწარმოს ერთდროულად ფუნქციონირების შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის ჯამური დონე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. გზშ-ის ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მკაცრად იქნება დაცული ნარჩენების მართვის წესები, რაც გამორიცხავს დაბინძურების კუმულაციურ ეფექტს. ხოლო ვინაიდან საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩამდინარე წყლის წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დაერთებულია ქ. ქუთაისის კანალიზაციაზე, მოსალოდნელი არ იქნება ზედაპირულ წყლებზე კუმულაციური ზემოქმედება.

დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწარმეო დანიშნულებით და მასზე ნიადაგი შენარჩუნებული არ არის. ირგვლივ არსებული გრუნტი დაფარულია ტექნოგენური ნაყარითა და ღორღის ფენით, სადაც ზოგან

ამოსულია ბალახოვანი მცენარეები, აკაციის ხეები და ეკალბარდები. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს მოწყობის ეტაპზე დაგეგმილია არსებული ნარგავების განახლება და ტერიტორიის მოწესრიგება. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული არ არის ცხოველთა სახეობები და შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში წარმოდგენილი არ არის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

საპროექტო ტერიტორიამდე გზა შემოდის ავტომშენებლის ქუჩიდან, ხოლო ავტომშენებლის ქუჩამდე საავტომობილო გზა შემოდის სოფ. მაღლაკის გავლით და სოფ. ქვიტირიდან. მაღლაკის ტერიტორიიდან შემომავალი გზა არ გაივლის ქალაქის დასახლებულ უბნებს, ხოლო ქვიტირიდან შემომავალი გზა (ორახელაშვილის ქუჩის გავლით), თავისუფალ ინდუსტრიულ ზონამდე გაივლის ავტომშენებლის ქუჩას, რომელიც ორზოლიანია და მასზე სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის შეზღუდვა დაწესებული არ არის. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია სატრანსპორტო მარშრუტების სქემა. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან ორივე საპროექტო ხაზისთვის საჭირო ნედლეულის წარმოება ხორციელდება ჰუალინგის ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, ნედლეულის შემოსაზიდად სატრანსპორტო გადაზიდვები საჭირო არ იქნება. წარმოებული პროდუქტის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტის მეშვეობით, რისთვისაც წლის განმავლობაში ჯამურად განხორციელდება დაახლოებით 450 ოპერაცია. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ვინაიდან შპს „საქართველოსკონგრესის“ არსებული საწარმოს მიერ დაგეგმილი იყო პირველადი ნედლეულის ტრანსპორტირება იმავე რაოდენობით და მარშრუტით, საპროექტო საწარმოების ფუნქციონირება ტრანსპორტის მოძრაობის არსებული ინტენსივობის გაზრდას არ გამოიწვევს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის, როგორც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 3 ივნისს ქ. ქუთაისის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „საქართველოსკონგრესის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „სამნის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „კოდექსერვისის“, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საზოგადოების წარმომადგენლები. საჯარო განხილვისას დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დასრულების შემდგომ, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, მოხდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში/სამინისტროში პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის მეორე დანართის მე-6 პუნქტის 6.1, 6.2 და 6.3 ქვეპუნქტების საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. ქუთაისში, შპს „საქართველოსკონგრუანის“ მეთილმეტაკრილატის (MMA) პირველადი ნედლეულის დისტილაციისა და პოლიმეთილმეტაკრილატის (PMMA) ფირების საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „საქართველოსკონგრუანმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „საქართველოსკონგრუანმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს მზა პროდუქციის ტრანსპორტირების სქემისა და გეგმა-გრაფიკის ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმება. ტრანსპორტირება უზრუნველყოს შეთანხმებული დოკუმენტის შესაბამისად;
5. შპს „საქართველოსკონგრუანმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;
6. შპს „საქართველოსკონგრუანმა“ საქმიანობის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები საწარმოს ტერიტორიაზე და 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე (მონიტორინგის წერტილების კოორდინატებისა და სიხშირის მითითებით). მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
7. შპს „საქართველოსკონგრუანმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების

დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

8. შპს „საქართველოსჰონგჩუნმა“ საქმიანობის დაწყებამდე უზრუნველყოს „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
9. შპს „საქართველოსჰონგჩუნმა“ ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე სუნის წარმომქმნელი პოტენციური წყაროების გამოვლენა, ხოლო აღნიშნული წყაროს იდენტიფიცირების შემთხვევაში, დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა სუნის წარმომქმნელი პოტენციური წყაროს გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში;
10. შპს „საქართველოსჰონგჩუნმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი;
11. შპს „საქართველოსჰონგჩუნმა“ საქმიანობის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
12. შპს „საქართველოსჰონგჩუნმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოსჰონგჩუნს“;
14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოსჰონგჩუნის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო